სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

07696054116425

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250171731

რეგისტრაციის თარიღი

14.02.2025 წ

ნოტარიუსი: შორენა გოგორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
ტელეფონი: +995 595 075225

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის თოთხმეტ თებერვალს მე, ნოტარიუს შორენა გოგორიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 მომმართა შპს „ემსიზი ჯორჯია"ს (ს/კ 200037986) დირექტორმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან , განცხადების რეგისტრაციის B24106325, 23/08/2024 11:07:43 იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N217ა , საიდენტიფიკაციო კოდი # 200037986) ალექსანდრე რატიშვილმა , რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დავრწმუნდი, რომ ალექსანდრე რატიშვილმა (დაბ. 02.07.1965 წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N 31ბ, ბინა 28ა , პ/ნ 01024013895) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დირექტორის უფლებამოსილება შემოწმებულია საზოგადოების ამონაწერით და წესდებით, მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მისი სიტყვებით აღნიშნული მინდობილობა, რომელიც ჩავიწერე ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განვუმარტე ამ მინდობილობის შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

მე, ალექსანდრე რატიშვილი , როგორც შპს „ემსიზი ჯორჯია"ს (ს/კ 200037986) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი/მარწმუნებელი", წინამდებარე მინდობილობით მალხაზ კვესელავას(დაბ. 17.11.1961წ. პ/ნ 01005007057) , შემდგომში „მინდობილი პირს/რწმუნებული პირი" ვანიჭებ შემდეგი სახის უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს ჩემი , როგორც შპს „ემსიზი ჯორჯია"ს (ს/კ 200037986) დირექტორის ინტერესები კომპეტენტურ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, ფიზიკურ იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მუნიციპალიტეტში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, სამოქალაქო რეესტრში, საჯარო რეესტრში, იუსტიციის სახლში, არქიტექტურულ, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ზედამხედველობის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სახელმწიფო არქივებში, საკადასტრო და სხვა შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებში უძრავი ქონების ს.კ. 01.19.14.005.057 რეგისტრირებასთან, ფუნქციის შეცვლასთან, სამშენებლო-საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებისას.
მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, დაარეგისტრიროს უძრავი ქონება ს.კ. 01.19.14.005.057 საჯარო რეესტრში, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის საარქივო მასალები. საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს უძრავი ქონების გაერთიანება მომიჯნავედ არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან, აზომვა, გამიჯვნა, ფუნქციის/სტატუსის შეცვლა, ფართის დაზუსტება, კორექტირება, მიჯნის დადგენა, წითელი ხაზების ცვლილება. გადაფარვის შემთხვევაში გასცეს თანხმობა მიჯნის და წითელი ხაზების დაზუსტებაზე.
რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან, ხელი მოაწეროს განცხადებას, განაცხადს, თანხმობას, კერძო და საჯარო აქტებს. წარადგინოს და მიიღოს საქმისწარმოებისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი, მათ შორის საარქივო მასალები, გაასწოროს ხარვეზი.
მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია. მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, სარეკლამო შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს რეკონსტრუქცია-მშენებლობასთან და შენობა- ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების, ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.
რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახდელები.

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ყველა კომპეტენტურ ორგანიზაცია დაწესებულებაში, მათ შორის და არა მხოლოდ სს „თელასში“, „თელმიკოში“, სს ენერგო პრო ჯორჯიაში“, „თბილისი ენერჯიში“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, „თბილ სერვის ჯგუფში“, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების, ინტერნეტ მიწოდების, ტელევიზიის და კომუნალური მომსახურების სამსახურებში, ნებისმიერი უძრავი ქონების გამრიცხველიანების/აბონენტად აყვანის, სიმძლავრის ცვლილების . იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის, ასევე ქვეგამრიცხველიანების საბონენტო ხელშეკრულებების გაფორმებისას.
ხელი მოაწეროს საბონენტო ხელშეკრულებას, განცხადებას, თანხმობას, განაცხადს. გამოითხოვოს ან/და წარადგინოს ნებისმიერი სახის ცნობა, დოკუმენტი, საარქივო მასალები, გააკეთოს განცხადებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახადები, ხელი მოაწეროს მის მაგივრად ნებისმიერ საბუთს და შეასრულოს ყველა ის ქმედება, რაც საჭიროა აღნიშნული დავალების შესასრულებლად.
არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილების ფარგლებში.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან- # B24106325.
2. კომპანიის წესდების ქსერო ასლი , რომელიც გადამოწმებულია www.napr.gov.ge-ზე]

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30 ლარი (`სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.7-ის თანახმად) აგრეთვე, დ.ღ.გ. 5.40 ლარი (თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 40.40 ლარი.

მიმნდობი

საქართველოს ნოტარიუსი